სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

თბილისის დარიალისშესახვევის №8-ში მცხოვრებლების

განცხადება

----------01008029755 ლელა ბოცვაძე

----------01008005654 ქეთევან ღავთაძე

----------01008021543 ლიანა ზამთარაძე

საკონტაქტო ტელეფონი 55522623

ჩვენი საცხოვრებელი სახლის მომიჯნავედ, ვაკის პარკთან, ტაბიძის ქ. 49-ის მიმდებარედ არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი, ბრძანება №2383071-16.12.2015წ. ნაგებობისთვის კოეფიციენტის შეცვლისას არ იქნა გათვალისწინებული იმ მაცხოვრებლების ინტერესები, რომელთა საცხოვრებელიც უშუალოდ ემიჯნება ამ შენობას. ჩვენი სახლი არის ოთხსართულიანი, ჩვენი ქუჩა თითქმის 2.5 მეტრით დაბლაა ტაბიძის ქუჩაზე. მიწისზემოდან მშენებარე ნაგებობა უნდა იყოს 24.5 მეტრის სიმაღლის ამას ემატება მიწის ზედაპირებს შორის სხვაობა, ეს მაშინ, როცა ღობიდან შენობა 3 მეტრით არის დაშორებული, ძნელი წარმოსადგენი არ არის ეს ყველაფერი ჩვენს სახლს რა მდგომარეობაში აყენებს. დღეს რომ მოქმედებდეს ინსოლაციის და სხვა კანონები ამ სახლის ასეთი დაგეგმარებით აშენების უფლებას მათ არავინ მისცემდა. ფაქტიურად სამხრეთის ფასადი საიდანაც მზე შემოდიოდა მთლიანად დაგვეხურა. გაუარესდა საცხოვრებელი პირობები.

ამჯერად, ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ თქვენს სამსახურში შემოტანილია განაცხადი სართულებიანობის გაზრდის შესახებ, ანუ ითხოვენ 24.5 მეტრის ნაცვლად მიწის ზემოთ 30.5 მეტრს ამას დაემატება მიწის ზედაპირებს შორის სხვაობა და ფაქტიურად აღმოვჩნდებით კიდევ უფრო ღრმა ორმოში. უმორჩილესად გთხოვთ ამჯერად მაინც გაითვალისწინოთ არსებული ვითარება, არ დაუშვათ სართულიანობის გაზრდა და ჩაგვრთოთ ამ პროცესში, როგორც დაინტერესებული მხარე.

პატივისცემით

განმცხადებლები

ხელმოწერის თარიღი 01. 14. 11. 026. 022.